საქართველოს მთავრობის

დადგენილება №46

2026 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისთვის, სახალხო არტისტებისთვის, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისთვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №284 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2024 წლის 12 დეკემბრის №82-Iმს-XIმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, „ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისთვის, სახალხო არტისტებისთვის, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისთვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №284 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/07/2011, 010330000.10.003.016443) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პირების სტიპენდიისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გამოიყოს საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში;

ბ) მე-3–3^2 პუნქტებით განსაზღვრული პირების სტიპენდიისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გამოიყოს საქართველოს სპორტის სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**